ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N1

31.10.2025 წელი
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თერთმეტი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **ალექსანდრე მუკათარიძე** (კომისიის წევრი), **დავით ხაბეიშვილი** (კომისიის წევრი), **მამუკა ხაბარელი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი) და **დავით ფანჯაკიძე** (კომისიის წევრი).

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 9 (ცხრა) წევრის დასწრებით.

სხდომა წარიმართა **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა, სახელდებისა და სიმბოლიკის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, გარემოს დაცვის და სარევიზიო კომისიებთან** ერთად.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

5. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

7. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

8. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე დავით მალანიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

9. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

10. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

11. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

12. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას**

დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

13. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

14. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

15. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

16. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

17. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლაშა ცაგურიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

18. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

19. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

20. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

21. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

22. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით გელოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

23. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

24. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე აკაკი ხლაბუსტოვის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

25. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032530326-03; 30.10.2025);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიების გაერთიანებული სხდომას მიმართა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ:

ნინო ვარდოსანიძე - მოგესალმებით, იქიდან გამომდინარე, რომ საერთო დღის წესრიგი გვაქვს ყველა კომისიას, მოგეხსენებათ საკრებულოს რეგლამენტის 67-ე მუხლის, I-პუნქტის, ა-ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოსთვის სამართლებრივი პროექტის ინიცირებით წარდგენის უფლება აქვს თბილისის მერს, შესაბამისად აღნიშნული წესით მერმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული 25 საკითხი. ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 68-ე მუხლის, I-პუნქტის, ი-ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ამავე კანონის წესით, თბილისის მთავრობის წევრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა, 76-ე მუხლის, II-ე პუნქტის შესაბამისად თბილისის მერი ნიშნავს მთავრობის წევრებს საკრებულოს თანხმობით, აღნიშნულის გათვალისწინებით მინდა ვთხოვო ბატონ გიორგი ტყემალაძეს წარმოგვიდგინოს საკუთარი და თბილისი მთავრობის სხვა წევრთა კანდიდატურების შესახებ ინფორმაცია და გაგვაცნოს სამომავლო ხედვა.

მოისმინეს

გიორგი ტყემალაძე - მოგესალმებით, პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ საკრებულოს წევრებს გუშინდელი უფლებამოსილების ცნობა. ბატონო თავმჯდომარე, გილოცავთ! წარმატებებს გისურვებთ! მინდა დაგიდასტუროთ დიდი პატივისცემა, ჩვენ აუცილებლად გვექნება მჭიდრო თანამშრომლობა, რათა განვახორციელოთ ის პროექტები, რომლებიც შევპირდით ჩვენს მოსახლეობას. ჩვენი საარჩევნო პროგრამა გახლავთ საკმაოდ დატვირთული დედაქალაქისთვის სასიკეთო და მნიშვნელოვანი პროექტებით. ჩვენ ვართ ერთი გუნდი და კოორდინაციით ყველაფერს შევძლებთ. მადლობა თბილისის მოსახლეობას, ჩვენი გუნდის და დედაქალაქის მერის მხარდაჭერისთვის. დღეს, საკრებულოს სხდომაზე თბილისის მერი წარმოადგენს მთავრობის შემადგენლობას და სამომავლო ხედვებს. იქამდე კი მე, გაერთიანებული კომისიების ფორმატში მოგახსენებთ დედაქალაქის მერის მიერ წარდგენილი მთავრობის წევრობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციას. საარჩევნო პროგრამის ერთობლივად გვაქვს მომზადებული და დიდ დროს არ დავუთმობ აღნიშნულზე საუბარს.

მოგეხსენებათ, რომ თბილისის მერის პირველ მოადგილედ გახლავართ წარმოდგენილი, რაც შეეხება მერის მოადგილეებს ბატონ ირაკლი ბენდელიანს წარდგენა არ სჭირდება, ის გახლავთ ჩვენი გუნდის სტაჟიანი წევრი, ისევე როგორც ბატონი ანდრია ბასილაია და კახა აბულაძე, სამივე მათგანი თქვენთვის საკმაოდ კარგად ნაცნობი პიროვნებაა, საკმაოდ გამოცდილი და მაღალი დონის პროფესიონალები არიან. დამეთანხმებით, რომ ისინი წარმატებულად საქმიანობდნენ და ასევე განაგრძობენ საქმიანობას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილია ვლადიმერ ჭიღლაძის კანდიდატურა, ჩვენი გუნდი უმეტესწილად წარმოდგენილია იმ შემადგენლობით, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად საქმიანობდა აღნიშნულ თანამდებობებზე, გვყავს რამდენიმე ახალი სახეც ვაკანტურ პოზიციაზე. საფინანსო სამსახური გაიოზ თალაკვაძე, იურიდიული სამსახური სერგო ბირკაძე. შესყიდვების საქალაქო სამსახური დავით მალანია, ეს გახლავთ სიახლე. დავითი მუშაობდა მოადგილის თანამდებობაზე, როგორც იცით ქალბატონმა ქეთიმ გადაინაცვლა სხვა სტრუქტურაში, დავითი გახლავთ გამოცდილი კადრი ამ მიმართულებით და ვფიქრობთ სამსახურის უფროსის თანამდებობაზეც წარმატებულად განაგრძობს საქმიანობას. ეკონომიკური განვითარების სამსახური ვახტანგ ლომჯარია, გარემოს დაცვა პაატა ტოგონიძე, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების გელა ჩივიაშვილი, კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა ირაკლი გვილავა, უსაფრთხოება ნიკოლოზ ჭონქაძე, ინფრასტრუქტურა გიორგი აბუთიძე, მუნიციპალური ინსპექცია გოგი ჩიქოვანი. ეს ის კადრებია, რომლებზეც შეჩერება და დამატებითი ინფორმაციის მოწოდება საჭირო არაა, რადგან წლებია მუშაობენ აღნიშნულ თანამდებობებზე და აქტიურად თანამშრომლობენ თბილისის საკრებულოსთან.

რაც შეეხება გამგებლებს, მთაწმინდის რაიონი დავით კირკიტაძე, ვაკის რაიონი ლევან ყიფიანი, საბურთალო გაიოზ ვასაძე, კრწანისის რაიონი ლაშა ცაგურია და მინდა მას წარმატებები ვუსურვო ახალ თანამდებობაზე. ისნის რაიონი აკაკი ხლაბუსტოვი, ასევე მინდა წარმატებები ვუსურვო აკაკის ახალ თანამდებობაზე. სამგორის რაიონი კახა სამხარაძე, ჩუღურეთი დავით მაქაცარია, დიდუბე დავით გელოვანი, რომელსაც მინდა წარმატებები ვუსურვო, ნაძალადევი ირაკლი ანდღულაძე, გლდანის რაიონი ბესიკ კალაძე. ეს გახლავთ საქალაქო სამსახურების და გამგებლების ის შემადგენლობა, რომელსაც სჭირდება თქვენი თანხმობა, რაც შეეხება მერიის სტრუქტურაში შემავალ სიპებს და მათ ხელმძღვანელებს ისინი დღეს აქ იმყოფებიან, შემადგენლობა ფაქტობრივად გახლავთ უცვლელი და ისინი გააგრძელებენ საქმიანობას მომავალშიც თბილისის მთავრობის დადგენილებით. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია ყველას გაქვთ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ძირითადი პრიორიტეტებია ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკა, ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ძველი თბილისის შენარჩუნება, ავარიული სახლების ჩანაცვლება, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა. აღნიშნული კუთხით ჩვენ ძალიან ბევრი პროექტი და ინიციატივა გვაქვს და აქტიურად ვიმუშავებთ თქვენთან ერთად დედაქალაქის პრიორიტეტული მიმართულებების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წლის ნოემბრის თვე გვექნება საკმაოდ დატვირთული 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილი იქნება 15 ნოემბრამდე, რის შემდეგაც გვექნება აქტიური კონსულტაციები თითოეულ თქვენგანთან, რათა თქვენი რეკომენდაციები მაქსიმალურად იყოს ასახული ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში. წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი პროექტები დაანონსდა, მათ შორის მეტროს ვაგონების ახალი შემადგენლობის შეძენა, რომელიც 111 ახალ ვაგონს მოიცავს და 2026 წლის ბოლოდან უკვე დაიწყება ეტაპობრივი ჩანაცვლება. ასევე იგეგმება ტრამვაის მშენებლობის ტენდერი, რომელიც დეკემბრის ბოლომდე გამოავლენს მშენებელ კომპანიას. ასევე ახალი საბაგირო ქსელების მოსაწყობად დედაქალაქის ტერიტორიაზე მალე გამოცხადდება ტენდერი ახალ მისამართებზე. რაც შეეხება მეტროს, დაგეგმილია 12 სადგურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სადგურის დამატება, ხაზის დაგრძელება, რომელიც შემდეგ წელს დაიწყება. ასევე გვაქვს მნიშვნელოვანი სიახლე ავარიული სახლების რეაბილიტაციის კუთხით ისტორიულ უბნებში, უნდა შევიმუშაოთ წესი აღნიშნული მიმართულებით, რომელიც გადაარჩენს დედაქალაქის თვითმყოფად, ისტორიულ ქსოვილს. წარმატებით მიმდინარეობს ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რომელიც ამ დროისთვის მოიცავს 17 მიმდინარე პროექტს და მზარდი მასშტაბი აქვს, სადაც გაიზარდა კერძო სექტორის ჩართულობა, რასაც მხარს დავუჭერთ. ეს მიმართულებები ახალ ბიუჯეტში დაფინანსებული იქნება შესაბამისი ასიგნებებით. იცით რომ დედაქალაქის განვითარების ფონდი იწყებს ინგოროყვას და სულხან-საბას ქუჩების რეაბილიტაციას, სადაც გამაგრდება ისტორიული ძეგლები. გვაქვს დაგეგმილი სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის 2026 წელს დაიწყება რუსთაველის გამზირის სრული რეაბილიტაცია, გამოიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები, განახლდება საავტომობილო და საფეხმავლო გზა. ეს იყო პროგრამის მოკლე მიმოხილვა, წარმოდგენილი კანდიდატები მზად ვართ ვუპასუხოთ თქვენს კითხვებს. მადლობა ყურადღებისთვის!

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2025 წლის 30 ოქტომბრის 12-032530326-03 წერილით წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

მომხრე - შალვა სუთიაშვილი, ალექსანდრე მუკათარიძე, დავით ხაბეიშვილი, მამუკა ხაბარელი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე - (8),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - დავით ფანჯაკიძე (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე **გიორგი ტყემალაძის,** მერის მოადგილის თანამდებობაზე **ირაკლი ბენდელიანის,** მერის მოადგილის თანამდებობაზე **ანდრია ბასილაიას,** მერის მოადგილის თანამდებობაზე **კახა აბულაძის,** ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) **ვლადიმერ ჭიღლაძის,** იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **სერგო ბირკაძის,** საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გაიოზ თალაკვაძის,** შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **დავით მალანიას,** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ვახტანგ ლომჯარიას,** გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **პაატა ტოგონიძის,** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გელა ჩივიაშვილის,** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ირაკლი გვილავას,** უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **ნიკოლოზ ჭონქაძის,** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე **გიორგი აბუთიძის,** მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე **გოგი ჩიქოვანის,** მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **დავით კირკიტაძის,** კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ლაშა ცაგურიას,** გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ბესიკ კალაძის,** ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ირაკლი ანდღულაძის,** ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **ლევან ყიფიანის,** საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **გაიოზ ვასაძის,** დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **დავით გელოვანის,** ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **დავით მაქაცარიას,** ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **აკაკი ხლაბუსტოვის,** სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე **კახა სამხარაძის - დანიშვნებზე თანხმობის მიცემის**

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი